ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა

ო ქ მ ი #8

22 დეკემბერი 2020 წელი

ქ.ბაღდათი 12.00 სთ

სხდომას თავმჯდომარეობდა: ირინა ტყეშელაშვილი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომას ესწრებოდნენ

კომისიის წევრები:
ალექსი ლომინაშვილი
მაია კბილაშვილი
ფრიდონ მაჩიტაძე
სიმონ ჭოლოკავა
რუსუდან გეწაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი: გურამი კიკნაველიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თ/მოადგილე: ნოდარ გიორგიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: გიორგი ნერგაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი მარეხი მშვენიერაძე

სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრი თანახმაა განიხილონ დღის წესრიგის მიხედვით წარმოდგენილი საკითხები

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის 2021 წლის პროგრამა და სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ

მომხს: მარეხი მშვენიერაძე

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი1. კომისიის თავმჯდომარემ ირინა ტყეშელაშვილმა წარმოადგინა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის 2021 წლის პროგრამა და სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ აღნიშულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი მარეხი მშვენიერაძემ

კომისიის წევრი: მაია კბილაშვილმა კითხვით მიმართა მარეხი მშვენიერაძეს ჩვენ გვაქვს შესაბამისი ვეტერანთა ბაზა

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი: მარეხი მშვენიერაძემ უპასუხა მაია კბილაშვილს, რომ ვეტერანთა ბაზა არის მაგრამ არ გვაქვს ოჯახის წევრების ბაზა

კომისიის თავმჯდომარე: ირინა ტყეშელაშვილმა განაცხადა, რომ უპატრონო მიცვალებულების დაკრძალვის თანხა 250 ლარი ძალიან ცოტა თანხაა კარგი იქნება თუ ცოტას 50ლარით მაინც მოვუმატებთ ამ თანხას

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი: მარეხი მშვენიერაძემ უპასუხა ირინა ტყეშელაშვილს, უპატრონო მიცვალებულების დაკრძალვის თანხა 300ლარი იყო განსაზღვრული, მაგრამ ვინაიდან ვეტერანების თანხა იყო 250ლარი იგივე თანხა დავტოვეთ

კომისიის თავმჯდომარე: ირინა ტყეშელაშვილმა განაცხადა, რომ თანხები არის მცირე გასაგებია, მაგრამ თუ რომელიმე მუხლში მოხდება თანხის დარცენა მოხდეს ამ

თანხის იმ მუხლებში გადატანა სადაც მეტად გვესაჭიროება სოციალური დახმარების მიმართულებით

ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ ირინა ტყეშელაშვილმა კენჭისყრაზე დასვა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის 2021 წლის პროგრამა და სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ საკითხი წარმოდგენილი სახით გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე.

კომისიამ გადაწყვიტა:

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის 2021 წლის პროგრამა და სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ საკითხი წარმოდგენილი სახით გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე.

კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულია

მომხრე: 6 წინააღმდეგი: 0

სხდომის დღის წესრიგით მიხედვით საკითხი ამოიწურა
სხდომა დახურულად გამოცხადდა

კომისიის თავმჯდომარე: ირინა ტყეშელაშვილი